№ 167

ოთხშაბათი, 1 აგვისტო, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1901

ივერია

№ 167

ოთხშაბათი, 1 აგვისტო, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სალოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

განყოფილება

სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

ტელეფონი № 174.

ადრესი ტელეგრამებისა: Тифлисъ „Фармацевтика“

(100—43—79)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელიწადი მეოცე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მიახვედროს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენის.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1901—1902 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეც და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-კურული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღონ მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილის. (24—133—13)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფებს იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. გმელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ბ. კარამურზინცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. რისტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არგანიცკი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოთ).

მიხეილ გედევანიშვილისა, კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა; სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მუდიანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. მატინოვი—თვალის 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. დ. მარკეზოვი—საქირურგო—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეკაბეკოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბედროგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები და კროვატები—მორიგებით.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების **გამგეობა** იწვევს მსურველთ (ქალებსა და ვაჟებს)

სცენაზედ სამსახურისათვის

(მსახიობებად)

მსურველნი მიჰმართავენ საზოგადოების კანტორაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზედ) ყოველ-დღე, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (5—6.—4)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. კორლანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. (6.)

წმ. ნინოს დედათა საქველ-მოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობა

აცხადებს, რომ ამ 1901—1902 სამოსწავლო წელს ქ. თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში ახლად შემსვლელთ, ვაკანსიების მიხედვით, მიიღებენ მხოლოდ მოსამზადებელ განყოფილებაში. თხოვნები და ყველა საჭირო ქაღალდები გამგეობის კანცელარიას უნდა წარუდგინოს არა უგვიანეს 20 აგვისტოსი, ხოლო ის ქალები, რომელნიც შესვლას აპირობენ, ეგზამენისათვის უნდა გამოცხადდნენ 31 აგვისტოს, დილის 8 საათზედ. მიიღებენ ქალებს კონკურსით.

განმეორებითი ეგზამინები მოხდება 27—28 აგვისტომდე. ხოლო სწავლა 4 სექტემბერს დაიწყობა. ამასთან გამგეობა აცხადებს, რომ სწავლის ფასი როგორც პანსიონერებისა, აგრეთვე გარედგან მოსიარულეთა, სრულად უნდა იქმნას შეტანილი წლის პირველ ნახევრისა—პირველ სექტემბერს, ხოლო მეორე ნახევრისა—10 იანვარს (პანსიონერებმა 95 მანეთი, ნახევარ პანსიონერებმა—50 მანეთი და გარედგან მოსიარულეთ—20 მანეთი).

ახლად შემსვლელთ, ეგზამენების დაჭერის შემდეგ, ფული დაუყოვნებლივ უნდა შემოიტანონ. სომხურის ენისა და მუსიკის სწავლებისათვის ცალკე სასყიდელია.

ის მოსწავლენი, რომელთა სწავლის ფასიც დროზედ არ იქნება შეტანილი, სასწავლებლიდგან გასულად იქმნებიან ჩათვლილნი.

გამგეობის თავმჯდომარე **სოფიო განსვგიძისა.**

(3—უ—3)

სკოლა და პანსიონი

ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის.

ოლღას ქუჩა (Ольгинская), № 13.

(10—35—5)

მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილ იქმნა: ალმოსავლეთ-ციმბირის მე-12 მსროლელთა რაზმის პორუჩიკი ბაქრაძე მე-9 მსროლელთა რაზმში.

ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნატორს ბ-ნს სვეჩინს საზღვარ-გარეთიდგან ტფილისში მოელიან ორშაბათს, 6 აგვისტოს.

*** 26 ივლისს რკინის გზაზედ გაჩენილ ცეცხლისაგან მიყენებული ზარალი დაახლოვებით გამოანგარიშებულია: დამწვარი ვაგონები—8000 მან; „პაკგაუზი“—22,000 მან. და დამწვარი საქონელი—250,000 მან., სულ 280,000 მანეთი.

*** წელს ვაზის სამკურნალო წამლის მოთხოვნილება დიდი იყო ტფილისის გუბერნიაში. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ ამ ზაფხულს 100,000 ფუთამდე სამკურნალო წამალი გაჰყიდა. უმთავრესად ამ წამალს კახეთში იბარებდნენ. ურიგო არ იქმნა საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და სამკურნალო წამლების საწყობი თვით კახეთში გამართოს, სადაც ყველაზედ დიდი მოთხოვნილებაა.

*** ტფილისის ქალაქის სატყეო-საბაღე კომისიის გამოკვლევით, ქალაქს შეუძლიან მიიღოს პატარა ლილოდგან, თუ-კი წყალს გამოიყვანს, დღე-ღამეში 60,000 ვედრო წყალი კუკიისა და ველაბრის მიწების სარწყავად. რადგანაც ამ წყლების სათავის გამოკვლევა კომისიას ჯერ არ დაუმთავრებია და ამ საქმისათვის საჭიროა კიდევ 800 მან., იგი სთხოვს ქალაქის გამგეობას ამ ფულის გადადებას.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას ყოველ დღე მოსდის ცნობები იმ საქონლის პატრონთაგან, რომელიც 26 ივლისს დაიწვა. გამგეობას გადაუწყვეტია ყველას უზღოს ზარალი.

*** კავკასიის სამხედრო-სამკურნალო ლაბორატორია ამ ჟამად იკვლევს ნატახტარის წყაროების წყალს. გამოკვლევის შემდეგ თავს მოუყრიან ყოველ გვარ ცნობებს ნატახტარის წყაროების შესახებ და მერე ამ ცნობებს გადასცემენ განსახილველად კავკასიის სამკურნალო საზოგადოების ერთ-ერთ მომავალ კრებას.

*** დღეს, 1 აგვისტოს, მოხდება წყლის კურთხევა მტკვარში, მადათოვის კუნძულთან.

*** 30 ივლისს ტფილისის პოლიცმეისტერმა სასანიტარო ინსტრუქციები დაურიგა ქალაქის ბოქაულებს და დაავალა დიდი ყურადღება მიაქციონ სისუფთავეს.

*** როგორც გავიგეთ, საქართველოს სინოდის კანტორის წევრებს სხდომები ექნებათ 7 და 8 აგვისტოს.

*** ცხენის რკინის გზის კონდუქტორებს დიდი ჩხუბი, აყალ-მაყალი და დავიდარაბა მოსდით ზოგიერთ მგზავრებთან, რადგან პატარა ძაღლების ვაგონში შეყვანის ნებას არ აძლევენ. ეს ამბავი გაუგია უსახელო საზოგადოების დირექტორს და უბრძანებია კონდუქტორებისათვის შემდეგში ფინიებით ვაგონში შესვლა მგზავრებს არ აღუკრძალონ.

*** ტფილისის ქალაქის მოურავი ბ-ნი ევანგულოვი გუშინ ბორჯომიდგან დაბრუნდა ტფილისში.

*** პოლიციის მეხუთე ნაწილის ბოქაულმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, და-

ნიშნის ერთი ტეხნიკოსი ზოლდიის შეხუთე ნაწილში ახნაზაროვის სახლის ბალკონის დასათვალიერებლად, რადგანაც იგი ისე დაძველებულა, რომ საშიშია თურმე მცხოვრებთათვის.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ.

კავკასიის გამოფენის მთავარი შენობა უკვე მზადაა. დღეიდგან ამ შენობაში ექსპონატების დალაგებას შეუდგებიან.

მომავალ გამოფენაში კიდევ შემდეგმა პირებმა განაცხადეს მონაწილეობის მიღების სურვილი: როსტომ მარტიროსიანცმა, ნიკოლოზ კეზელმა და მიხეილ მაიზელსონმა.

კავკასიის მომავალ გამოფენის დროს ძაღლების გამოფენა 7 დღეს გაგრძელდება: 8-დგან 15 სექტემბრამდე.

დღეს ტფილისის საბალოსნო სკოლის სადგომში, საღამოს 8 საათზედ, სხდომა ექნება გამოფენის იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს გამოფენაზედ ხალხის გასართობების მოწყობის საქმე.

კავკასიის გამოფენაზედ ექსპონატების მიღება შესწყდება 10 აგვისტოდგან.

ძმ. ნობელის სავაჭრო სახლმა ბაქოდგან გამოფენის გამგე კომიტეტს გამოუგზავნა ბაქოს პავილიონში მოსათავსებლად სხვა-და-სხვა ექსპონატები.

წელს კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენაზე დასასწრებლად საპატიო სტუმართა შორის მოწვეულნი არიან მინისტრები მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა ბ-ნი ერმოლოვი და ფინანსთა ბ-ნი ვიტტე. ამ დღეებში კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ მისწერა საზოგადოების პრეზიდენტს კავკასიის მთავარ მართებელს თავ. გოლიცინს მოიწვიოს საზოგადოების სახელით ეს მინისტრები.

კავკასიის გამოფენის უმთავრესმა კომიტეტმა შეატყობინა ტფილისის ქალაქის მოურავს, რომ იგი ამორჩეულია გამოფენის უმთავრესს კომიტეტის წევრად.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. აქ გვეწვია ჩვენი პატივცემული მსახიობი ალექსი-მესხიშვილი. გვეგონა, დავსტკბებოდით მისის ქართულის თამაშით და ვისაც არ გვენახა, ვნახავდით მის თამაშობას, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა; ჩვენმა ქართველმა მსახიობმა, რუსულად გამართა წარმოდგენა და ბილეთებიც ისე დააძვირა, რომ უკანასკნელი ბილეთი ერთი მანეთი ღირდა. ეს იმისათვის, რომ მარტო ინტელიგენციას ესიამოვნა მისის ნიჭიერის თამაშით.

წარმოდგენაზედ ჩვენ ვერას ვიტყვით, მაგრამ მესხიშვილის თამაში ისეთი არ იყო, როგორიც ქართულს სცენაზედ გვინახავს,—თითქო თავისს ქერქში არ იყოო. საზოგადოებაც ისე არ დახვდა მესხიშვილს როგორც მისს ნიჭს შეეფერება.

იმედია, ბ. მესხიშვილი შემდეგში დატკბობს საზოგადოების გულს თავის ქართულის თამაშით.

მაყურებელთაგანი

ᲐᲮᲐᲚ-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ. სენაკის მაზრის ზოგიერთ სოფელში თავი იჩინა ეგრედ წოდებულმა „მუცელა-სიმრთელემ". ამ სენით მრავალი იტანჯება ულოგინოდ, რომლებიც სიკვდილს მოელიან. ზოგი გარდაიცვალა კიდეც, უფრო-კი პატარა ბავშვები იხოცებიან.

წრევანდელს მოსავალს ერთობ მაზრაში ჯერ-ჯერობით ვერაფერი პირი უჩანს. ყანები გააფუჭა ივნისის დიდმა სიცხეებმა და გვალვამ. ღვინის მოსავალი სულ არ იქნება მთელს მაზრაში, რადგანაც ვაზს პირველშიაც სულ არ ესხა. ერთის სიტყვით, წრევანდელი მოსავალი ვერაფერი ნუგეშია მხვნელ-მთესველისათვის.

ტრიფონ კალანდარიშვილი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

თუმცა მართალია წვრილი კრედიტის მნიშვნელობა და საჭიროება სასოფლო მეურნეობაში ყველასათვის დიდიხანია ცხადია და ნაყოფიც ყველგან საუკეთესო გამოიღო, მოიახშეების გაუმაძღრობა ალაგმა, მაგრამ მაინც ეს საკეთილო საქმე რაგინდ ვერ მიდის წინა და რიცხვი ამ გვარ დაწესებულებათა ძლიერ ნელ-ნელა მატულობს. ამის შესახებ გაზ. „Русскія Вѣдомости" აი, რასა სწერს:

„მართლად რომ რუსეთში წვრილი კრედიტის დაწესებულებანი შემოიღეს, მათს გავრცელებას ხალხში და ფეხის მოკიდებას ბევრმა პატივცემულმა მოღვაწემ მოანდომა თავისი ძალა. ისტორია მეტად მადლობით მოიგონებს უთუოდ ასეთს ხალხს, როგორნიც არიან, მაგალითად, ლუგინინი, თავ. ვასილჩიკოვი, იაკოვლევი და სხ. მრავალნი. მაგრამ განვლო დრომ და წვრილის კრედიტის ანუ სახალხო კრედიტის მოღვაწეთა და გულშემატკივართა რიცხვმაც თანდა-თან იკლო; ამ ბოლოს დროს-კი თითქმის სულ მთლად აღარა ისმისრა ამათი. ეჭვი არ არის, მიზეზი, ის უნდა იყოს, რომ სახალხო კრედიტის საქმეს თანაგრძნობა მოაკლდა. მაგრამ რად, იკითხავს უთუოდ მკითხველი? [illegible] ხომ ისევე ისრე აჭირდებათ ხალხსა და უდიდეს დიდს სარგებლობას აძლევენ, თანაც ხალხის მოთხოვნილება დღითი-დღე მატულობს, მაშ რადა არის მიზეზი, რომ ამ საქმეს თანაგრძნობას აღარ უწევენ. თუ რომ ძველმა შემნახველ-გამსესხებელმა ამხანაგობებმა ნდობა დაჰკარგეს, 1895 წლის ახალი კანონით ხომ სრულიად ახალი სახე მიიღეს, რომელიც სოფლის მეურნეობის საჭიროებას, შედარებით წარსულთან, მეტად შეეფერება. გარდა ამისა, ახალი კანონით ნება ეძლევათ დაარსდნენ არა მარტოდ ამ ტიპის დაწესებულებანი, არამედ სხვა საკრედიტო დაწესებულებანიც, მაგ. სოფლის ბანკები. ან თუ გინდ ერთი არსებული საკრედიტო დაწესებულებათა ტიპი ვერ აკმაყოფილებს ხალხის მრავალგვარს მოთხოვნილებას, რატომ მაშინ ახალს რასმე არ გამოიგონებენ და არ განახორციელებენ? მაშინ, როდესაც გერმანიაში 1900 წ. სასოფლო ბანკებისა და შემნახველ-გამსესხებელ კასსების რაოდენობამ 10,000 მიაღწია, რუსეთში ამავე წლის 1-ლ იანვრამდე მხოლოდ 703 შემნახველ-გამსესხებელი და 40-მდე საკრედიტო დაწესებულება ყოფილა. 1899 წლ. ივნისიდგან 1900 წლ. სექტემბრამდე მთავრობას სულ ნება დაურთავს 93 შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისათვის, მაგრამ აქედგანაც ნახევარზედ მეტი, ე. ი. 47, [illegible] მხარეს და ჩრდილო-დასავლეთ მხარეს დაარსებულა, 14—კავკასიაში, 9—ბალტიის მხარეს და მხოლოდ-და 23 მთელს შუა-გულ რუსეთში. მაშინ, როდესაც გერმანიაში ამ ბოლოს ხუთს წელს სულ ცოტა 1,000 ახალი საკრედიტო დაწესებულება იქმნა გახსნილიო".

„Русскія Вѣд." ამ გარემოებას, ე. ი. ასეთს უმოქმედობას [illegible] და სოფლის ინტელიგენციის ამიზეზებს.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲗᲐ ᲡᲐᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝ ᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ.

„სხვისა მაზიარებელი მოკვდა უზიარებელიო", ნათქვამია ქართულად; და მართალიც არის, თუ დავუკვირდებით: სად და რომელს წრეში შესდგომია ფეხსა, ან რომელს პირობებში მოიკითხავთ, რომ ეს ჩვენი ბრძნული ანდაზა არ მართლდებოდეს?.. განსაკუთრებით-კი ყველაზედ მეტად ჩვენის საზოგადოების იმ ნაწილზეა ეს ზედ-გამოჭრილი, რომელსაც ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა გუნდი ეკუთვნის და რომელთაც მწერლობის ქურუმებათ აღიარებენ [illegible].

მართლაც-და, რომელს საზოგადო საქმეს და საზოგადოებრივს მოღვაწეს დაასახელებთ, რომ მწერლობა და მწერალი თავისს რჩევით და სიტყვით ამ საქმისა და მოღვაწის ასე თუ ისე გაჭირვება-ძალებში და მოწყობა-რიგებაში სულით და გულით მონაწილეობას არ იღებდნენ, არ სცდილობდნენ შეძლებისამებრ უკეთესს ნათელი მოჰფინონ, უკეთესი განწმინდონ ბოროტებისაგან, არ სცდილობდნენ საზოგადოებისა და კერძოდ მისთა წარმომადგენელთა ცხოვრება უკეთ მოაწყონ, თვითოეულს კერძო შემთხვევაში არ აფრთხილებდნენ, გზის მაჩვენებლათ, ჭეშმარიტ გულშემატკივართ არ ექმნენ, ვინაიდგან სასოგადო მოღვაწეს მწერლობაში მხოლოდ კეთილშობილური მისწრაფებები ამოქმედებს და არა სხვა რამე ბოროტი განზრახვა, ქვენა მოსაზრება... და აი, ასეთის მისწრაფებისა და ბუნების მქონე ადამიანთა წრე თავისს საკუთარ ცხოვრებისა და მომავლის შესახებ ჩვეულებრივ სრულიად არარას ჰფიქრობს, მუდამ გაჭირვებულს და სიღარიბეში გხედავთ, თითქოს ცხოვრების ამაოებას და არარაობას დასცინიან, სიცოცხლისათვის აზრი სწორედ ამ გაჭირვებაში მოუპოვებიათო.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲡᲐᲧᲕᲔᲓᲣᲠᲘ

ოც და ათი წელიწადი მეტია, რაც ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში ხშირად ვკითხულობთ მიცვალებულზე ხარჯების შესახებ ჩივილს. ქართლ-კახეთიდამ გნებავთ თუ იმერეთ-სამეგრელოდამ ან მთებიდამ, ყოველგნით ჩივილი ისმის, ოჯახები გვეღუპება ვალებისაგან მიცვალებულის დამარხვაზეო. ეს ჩივილი საერთოა, ზოგან სოფლებს განაჩენებიც შეუდგენიათ (ადრეც და ახლაც) ხარჯების მოსპობაზე. ჩანს დრო მოსულა, ხალხი გრძნობს ხარჯების სიმძიმეს და მისი მოსპობა ესურვება.

ამგვარად ვხედავთ, რომ მიცვალებულზე სადილების და ქელეხების გამართვას აღსასრული უახლოვდება.

ყოვლად სამღვდელოს იმერეთის ეპისკოპოსს განკარგულება მოუხდენია ამ საზარალებელ ჩვეულების შესახებ. ბატონი აკაკი ბრძანებს „ივერიის" 25 ივლისის ნომერში, ამ განკარგულებამ „მოულოდნელი უკმაყოფილება გამოიწვია ჩვენშიო. ჩანს რომ თვით სამღვდელოებას ვერ გაუგია ბრძნული აზრი იმერეთის ეპისკოპოსისა, რომ გადასხვაფერებულად ჩასმენია საჭირო ჭეშმარიტებაო".

იქნება ბ-ნ აკაკის მოეგონებია ძველებური ნათქვამი:

ხუცესმა უთხრა ხუცესსა:
ალაპი არის რუსეთსა,
—თუ პური არ არისო,
შოთი არ არისო.

და ამიტომ უწოდებს იმერეთის ეპისკოპოსის განკარგულებას ბრძნულს. მაგრამ როდესაც ჩავიკითხავთ წერილს, ვხედავთ დაწუნებას და მივყევართ ამ სტრიქონებამდე: „აგრეთვე არ მოგვწონს ის განკარგულება, რომ მკვდარს სამ დღეს იქით ნუ გააჩერებთ დაუმარხავადაო". მაშასადამე არც პირველი საგანი მოსწონს, ესე იგი არ მოსწონს მოსპობა ზარით და ქელეხებით მიცვალებულის დამარხვისა.

ასე ბატონი აკაკი წინააღმდეგია დამღუპველ ადათის მოსპობისა: ის ბრძანებს, რომ ვითომც დიდა ხელის შემწყობი ყოფილიყოს ჭირისუფლებისა ქელეხები და ზარით დამარხვა. აი რას ამბობს:

„იმერეთში მთელი სოფელი ერთად მონაწილეობას იღებს თვითოეულის ჭირსა და ლხინში. რომ ვინმე მოკვდება გლეხობაში, ყოველი გლეხი ვალდებულია ან გადასახურავით მოვიდეს. თან(ან?) მოაქვს: ერთი ცხრა პური, დოქი ღვინო, ერთი დედალი და აბაზი ფულად. ვისაც არც ეს შეუძლია, შრომით იხდის, ხელზე ემსახურება, შეშას მოუტანს, წყალს გაუთბობს და მოვალეობას მაინც შეასრულებს. ეს ყველაფერი სავალდებულოა დაკანონებული. (ხაზს ჩვენ ვუსვამთ).

ამ გვარი ხელის შეწყობით ისე იმარხება მიცვალებული, რომ ჭირისუფლებს არა თუ არა ეხარჯებათ-რა და ვალი არ ატყდებათ, პირიქით მღვდლის გასასტუმრებელი და საორმოცო სულის მოსახსენებელი საწირავი რჩებათ... ნუ თუ ეს ჩვეულება ნაცვლად მისა, რომ საყოველთაოდ შემოვიღოთ, უნდა აიკრძალოს".

საქმეც ის არის, რომ ეს ჩამოთვლილი წესი, ვითომ საყოველთაოდ სავალდებულო, ადრე თუ ყოფილა, დღეს აღარ გახლავს. ამის დასამტკიცებელი საბუთი საერთო ჩივილია ამერ-იმერეთიდან. ყოველ გლეხს, ცხრა პურის და ერთი დედლის მომტანს თან რომ თხუთმეტი კაცი მიჰყვეს ზარით,—ეს ავიწყდება, მგონი, ბატონ აკაკის. ავიწყდება, რომ ერთი დოქი თხუთმეტ კაცს ყლაპად არ ეყოფა და ყლაპიც და ყლუპიც ჭირისუფლმა უნდა მიართვას.

მერე კიდევ: შორს მყოფი ჭირისუფალი სამ დღეში ვერ მოვა თავის მკვდრის დასამარხადაო. ეგ კი არ არის თავი მიზეზი დიდხანს ამძორებულის ცხედრის შენახვისა, ის გახლავს, რომ ჭირისუფალს ხელში ფული არა აქვს, ეძებს აქეთ-იქით ფულის სესხს, პურს, თევზს, ღომს, რომ მოსულ ხალხს ამოუქოლოს მუცელი ორისა და სამის დღის განმავლობაში. სოფლიდგან-სოფელ მოსული ხალხი ცხენიანად უნდა შეინახოს და ცხრა პურის მომტანი თხუთმეტი კაცი გაამძღოს.

რამოდენა ხარჯი და მწუხარება ატყდება ჭირისუფალს იმერეთში, დეე მოიწერონ იმერეთიდგან და მაშინ შევიტყობთ, მართლა ხალხი უკმაყოფილოა, თუ ეს უკმაყოფილება მოგონებული ზღაპარია მოქელეხე და ძირგავარდნილ ქეიფრებისა.

ადათის და ჩვეულების გადავარდნა უეცრად არ შეიძლება. მაგალითად ბ-ნ აკაკის მოჰყავს რუსეთის ისტორიიდამ ვლადიმირ, ქრისტიანობის შემომღები და ნიკონი, საღმრთო წერილის შემსწორებელი. რუსეთში წარმართობა დიდხანს დარჩა და ნიკონის შესწორებამ სექტანტობა გააჩინაო. აქედამ რა დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ? არც ქრისტიანობა უნდა შემოეტანა ვლადიმირს და არც საღმრთო წერილი უნდა შესწორებულიყო!

მაგრამ ეს ამაო მოსაზრებაა.

ჩვენს ისტორიასაც ჩავხედოთ. ანტონ პირველმა 1749 წ. შეკრიბა სამღვდელონი და კრებაში გამოაცხადა, მოისპოს ძველებური ჩვეულება: ორმოც დღეს ტირილი, თმების გლეჯა, თავ-პირის დასისხლიანება, ტანისამოსის ფხრეწა და სხვა. ხომ ამისთანები გადავარდა.

კიდევ მეორე მაგალითი: განსვენებულ ეპისკოპოზ გაბრიელის წინად, მიცვალებულზე ეპისკოპოზი რომ მოვიდოდა, თან ოცი, ოც და ათი სული სამღვდელო მიჰყვებოდა. დახვედრა ამისთანა ყოფილა, რომ ეპისკოპოზის მხლებლებს უნდა გაეშინჯათ საკლავი და ხშირად ატყდებოდა ლაპარაკი, ეს ძროხა არ ვარგაო. უნდა მოეყვანათ რამდენიმე დაწუნებულის ნაცვლად. გაბრიელ ეპისკოპოზი რომ პირველად მიიწვიეს, რასაკვირველია, სამღვდელოთაგან ბევრი ემზადებოდა თან გაჰყოლოდა. ეპისკოპოზმა ორი სამი კაცი წაიყვანა. გაკვირვებული აყო მთელი იმერეთი. მოიშალა ძველი ადათი და ჩვეულება: ცუდი იყო ეს ამბავი? მთელი იმერეთი ლოცავდა განსვენებულს.

ამ საზარალო ჩვეულებაზე დიდიხანია ჩვენმა ქალაქებმა ხელი აიღეს. მიცვალებულს პატივსა სცემენ, ქელეხებიც შემცირდა და თითქმის ისპობა. ასე რომ ახლა ნათესავი ათი-თხუთმეტი კაცი თუ დარჩება სადილზე. მუზიკით დამარხვაც გადავარდა (ბატონი აკაკი სცდება, ვი-

მერე, რა არის მიზეზი განა და რითი აიხსნება, რომ ჭკვიანი მეოფელი გონიერი ადამიანი უცბად თავისს საკუთარს ინტერესებს, თავისს თავს ივიწყებს და მთელს სიცოცხლეს მხოლოდ სხვათა ჭირ-ვარამს ანდომებს, სცდილობს, რამდენადაც-კი ეს მის ხელთ არის, მძიმე ტვირთი ცხოვრებისა როგორმე შეუმსუბუქოს, სიტყვით თუ საქმით გზა გაუკვლიოს, ცუდს აცდინოს კეთილს შეჰყაროს? რა და იგივე ადამიანობა და მადლი მისწრაფება თვისსთა მოყვასთა დაცვისა და მფარველობისა, რომლისაც მსგავსი ცოცხალს ორგანიზმში ვხედავთ და რომლისაც დიდებულს თანამედროვე მეცნიერის მეჩნიკოვის ადმოჩენით „ფაგოციტოზი“ ჰქვიან. ორგანიზმსაც, როგორც ადამიანსა და საზოგადოებას, მრავალი უხილავი (ჩვეულებრივის თვალისათვის) და ხილული მტერი ჰყავს, რომლებიც სცდილობენ დაიმორჩილონ, მოჰკლან იგი. მაგრამ ბუნების თვისებაა სიცოცხლე, არსებობა, როგორც ენერგია, არ მოისპოს, განაგრძოს. ამ მიზნით ორგანიზმში მეჩნიკოვის ადმოჩენით ეგრედ წოდებული განსაკუთრებული უჯრედები, ფაგოციტები არსებობენ, რომლებიც ყოველსავე მავნე მოვლენას ეწინააღმდეგებიან, სხვათა არსებობისა განსაგრძობად თავს ამსხვერპლებენ.

ადამიანთა საზოგადოებაშიაც, როგორც ცოცხალს ორგანიზმში იგივე კანონი იჩენს თავს: მრავალი ხილული და უხილავი მტერი ხშირად დიდს შიშში აგდებს მთელს საზოგადოებას, ერს, ქვეყანას. მაგრამ აქაც თავისი ფაგოციტები ჰყავს საზოგადოებას. ესენი გახლავან მწერლები და სხვა საზოგადო მოღვაწენი: ბუნებითი მოწოდება და მისწრაფება სხვათა მფარველობისა და დაცვისა ნებას არ აძლევს მათ სდუმდნენ და ხმა არ ადიმაღლონ, როდესაც-კი ამას საქმე და გარემოება მოითხოვს. მაშასადამე, შეგნებულათა და შერჩევით კისრულობს ხალხისა და ქვეყნის წინაშე მწერალი ასეთს მოვალეობასა, თუ შეუგნებლათ და ბრმად, სულ ერთია, ყოველს შემთხვევაში ხვედრი და მოქმედება მისი პატიოსანი და ჰუმანიურია, მწერლობა, მუდამ ცხოვრებაში საუკეთესო აზრთა და იდეათა მატარებელია, იგი შევიწროებულთა, ჩაგრულთა და დევნილთა ჭირისუფალია.

ასეთის მადლის დანიშნულებისა და მისწრაფების მქონე ადამიანთათვის, მაშასადამე, (რასაკვირველია, მწერლობაშიაც ყველა წმინდის გულით არ გამოდის!) საკვირველი სრულიადაც აღარ არის, თუ თავისს თავსა და თავისს ოჯახობის შესახებ იმდენს აღარ იფიქრებენ, რამდენსაც სხვები ფიქრობენ და დარიბისა და შევიწროებულის სახელს დაიმკვიდრებენ!

და ეგი ასეც არის. მწერალი მხოლოდ დაწინაურებულს ხალხში თუ ფასდება როგორმე და იღებს შრომის დირსეულს ჯილდოს, თორემ ჩვენში, სადაც მწერლობა ჯერ ახალი ფეხადგმულია, ეს სიზმრადაც არავის მოსჩვენებია. რასაკვირველია, აქ თვითონ მწერლის ღირსება და სულიერი სიმდიდრეც სავულისხმოა, მაგრამ ყოველს შემთხვევაში გადაჭარბებული არ იქმნება თუ ვიტყვით, რომ კავკასიაში მწერლობა მხოლოდ წამებაა... თვითონ საუკეთესო წარმომადგენელთათვისაც-კი. ჩვენმა, მაგალითად, ქართულმა მწერლობამ მაინც ერთის მეტი მაგალითი არ იცის, რომ მწერლობით რიგიანად ვინმე სცხოვრობდეს და ისიც იმიტომ მხოლოდ, რომ მისი შრომა ყველა ბავშვისათვის სავალდებულოდ შესაძენია: უმისოდ სკოლაში ვერ შევა. დანარჩენებს, თუ თვისი არა გააჩნიათ-რა, სიღარიბე სულსა ჰხუთავს.

და აი, ასეთის ხალხისა და მათის ოჯახობის ნუგეშსაცემად, თუ მართლა ეღირსებიან ოდესმე, განიზრახეს დაარსდეს ტფილისში ეგრედ წოდებული „კავკასიის ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა დამხმარებელი საზოგადოება“, რომელსაც აზრათ აქვს მწერლებს, წიგნების გამომცემლებს, გამსყიდველებს, ასოთ-ამწყობებს, მესტამბეებსა და საზოგადოდ ყველას, ეროვნების განურჩევლად, ვისაც-კი ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემაში შრომა მიუძღვის, რამდენადაც-კი ეს შესაძლებელი იქმნება, მძიმე ტვირთი სიღარიბისა შეუმსუბუქონ და მოხუცებისა თუ ავადმყოფობისა და გაჭირვების დროს დაეხმარონ ხოლმე.

წესდება ამ ახალის საზოგადოებისა ამ ჟამად ტფილისის ჟურნალ-გაზეთების რედაქციების წარმომადგენელთა მიერ უკვე შედგენილია და მალე საზოგადო კრებაც იქმნება მოწვეული, რომ იგი განიხილონ.

საჭიროება ასეთის საზოგადოებისა, მეტადრე ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთათვის, რომელნიც მთელს თავისს სიცოცხლეს სხვის ჭირისუფლობაში ატარებენ და სამაგიეროდ-კი მათთვის არავინ ზრუნავს, არც სახელმწიფო და არც საზოგადოება, ეჭვი არ არის, სასარგებლო და აუცილებელია, მაგრამ ანდაზისა არ იყოს: „ბრმა ბრმას აეკიდა, სამარის კარამდე მიმიყვანეო“, ცოტა, ვგონებ, იარე დაემართება ამ სიმპატიურს საზოგადოებასა, თუ მარტოდ ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საკუთარი გროშების ამარად დარჩება და გარეშე საზოგადოება თანაგრძნობით არ შეეგებება, იგიც არ ედგება თავისს მაჭირისუფლე ადამიანთა წრეს თანაგრძნობა აღმოუჩინონ. წესდების მე-7 მუხლში, მაგალითად, ნათქვამია, რომ წევრობა ამ საზოგადოებისა შეუძლიათ იმათაც, ვინც ბეჭდვითს საქმეს არ ემსახურება. ასეთი მონაწილეობა-კი მით უფრო სასურველია, რომ საზოგადოება და მწერლობა მაშინ ერთმანეთს უკეთ გაიცნობენ და მათ შორის მეტი ერთობა დამყარდება, რაიცა დღეს, სამწუხაროდ, როგორადაც ვერა ხერხდება.

იმედია, ამისათვის, როდესაც საზოგადო კრება იქმნება მოწვეული, მოვლენ არა მარტოდ ბეჭდვითი საქმის მოღვაწენი, არამედ ისინიც, ვისაც მათთან სულიერი ერთობა აქვს, ვინც მათს დანიშნულებას, მათს მისიას თანაუგრძნობს.

ინ-ანი

თომც კიდევ იყოს). ამ მეტ ხარჯებზე კათოლიკე და სომხის სამღვდელოება ხშირად ქადაგებს. რატომ მართლმადიდებელმა სამღვდელოებამ არ უნდა იქადაგოს. დიაღაც მისი მოვალეობაა ხალხის გამღარიბებელ და შემავიწროვებელ ჩვეულების მოსპობაზე ხმა ამოიღოს. არ გვჯერა, რომ იმერეთის უმრავლესობას ეპისკოპოზის განკარგულება არ მოსწონდეს. დამწუნებელი ამ განკარგულებისა მცირე იქნება, ისიც იმ წრეში, რომელსაც ალაპარაკებს გაუგებრობა ან ღვარძლიანობა.

ბატონ აკაკის ენანება ის, რომ სოფელში ერთმანეთის დახმარება მოისპობაო. ეს უსაფუძვლო აზრია. ყოველ დახმარებას თავისი ფორმა აქვს დროს მიხედვით. ძველი ფორმა დახმარებისა იცვლება და ისეთს ახალ ფორმას ითვისებს, რაც უფრო სასარგებლოა, რაც ადვილია და მკვიდრი. სამარხი კასები ვერა სჯობია ძველებურ დახმარებასაო, ბრძანებს აკაკი. ძველებური დახმარება ძალიან დიდი ხნის ამბავია, როდესაც პური და ღვინო ოჯახს ჰქონდა ბლომად, გაყიდვა არ შეეძლო, უნდა ეჭამა და ეშმევინა. ახლა გლეხი სულს ძლივს იბრუნებს; საკუთარ საჭიროების დასაკმაყოფილებელიც ცოტა აქვს, არამც თუ სხვების გასაძღომი.

ამიტომ ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს განკარგულება სწორედ დროზედ მისწრებაა გაჭირების დროს დაეხმაროს ხალხს და დასაღუპავ ჩვეულების ტვირთი მოაცილოს.

ბატონი აკაკი ამბობს, ქრისტიანულს გული ერჩის, მიცვალებულის პატივისცემა ესურვებაო. ვინ არის მერე ამისი წინააღმდეგი? კიდევაც პატივი სცენ, კიდევაც იტირონ, ვისაც ეტირება, მაგრამ უეჭველად რომ სადილი უნდა აჭამო მოსულ ხალხს, ეს უნდა მოისპოს, ეს უშველებელი სადილის გამართვა. პატივისცემა სხვაგან მეტი იციან, დიდძალი ხალხიც შეიყრება მიცვალებულის გასვენებაზე და დასაფლავებაზე. არც სადილი იციან და არც ღვინის სმა. ტფილისში კათოლიკეთ და სომხეთა სამღვდელოება არც კი ესწრება სადილ-ქელეხზე და ეს კარგ მაგალითადაც უხდება მრევლს.

უვარგისის ჩვეულების გამოსარჩლება იმისი ხელობაა, ვინც ეფერება დრო მოჭმულ ჩვეულებას, ჩვეულებას, რომელსაც აღარაფერი საკეთილო აზრი აღარ შერჩენია. სასურველი არ არის ამისთანათა წრეში ითვლებოდეს რომელიმე მწერალი და მათში ბატონი აკაკი. არამედ ყოველთვის სასურველია მწერალს იმ წრეში ვხედავდეთ, რომელიც ამაღლებს ხალხს დაცემულის ჩვეულებისაგან, რომ უკეთეს გზაზე დააყენოს.

ბატონმა აკაკიმ დაწუნების სიტყვა გადაჰკრა სამარხ კასების შემოღებას ჩვენში. ეს დაწესებულება სასურველია რომ გავრცელდეს, მას შეუძლია კარგი სამსახური გაუწიოს ხალხს. სამარხს კასას ის ღირსება აქვს, რომ ფულის ანგარიშში თავისი ადგილი უჭირავს, მკვდარს პატივისცემა არ აკლდება და ჭირისუფლებს და მათ პატივისმცემლებს უმეტესს გონივრულ ერთმანეთის დახმარების ასწავლის, ვიდრე უანგარიშო ქელეხები, ზარით ტირილი და ალაპები. იმერეთში უკვე დაიწყეს ამისთანა ამხანაგობების დაფუძნება და იმედია, თუ მეცადინეობა ვიხმარეთ, გავრცელდება. ახალის ფორმის დახმარება გამწვრთნელი სკოლაც იქნება და გვასწავლის, რომ დახმარება იმას არა ჰქვიან, ერთს დღეს დიდ სადილზე ღვინით გამოვიბრუჟოთ და ჭირისუფალი გავალატაკოთ.

პ. უმიკაშვილი

რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიწერილობანი გაუგზავნია გუბერნატორებისათვის იმის შესახებ, რომ ქალაქის საბჭოებს ნება არ მისცენ სასკოლო რეფორმის შესახებ საჯარო სჯა-ბაასისა.

— საერო განათლების სამინისტროს დაუვალებია სამოსწავლო ოლქის მზრუნველთათვის, რაც შეიძლება მალე წარადგინონ თავიანთი მოსაზრებანი, 1901—1902 სამოსწავლო წელს გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლების პირველ კლასებში შესაძლებელია თუ არა ორის ახალის ენის სწავლება.

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები სწერენ, შემოდგომაზედ პეტერბურგში აპირობს ჩასვლას ამერიკელთა მწერალი სამუელ კლემენსი, მარკ ტვენის ფსევდონიმით ცნობილი.

— გაზეთები მეტად სამწუხარო ამბავს გადმოგვცემენ ერთ მასწავლებელ ქალის შემზარავი სიკვდილისას. ეს ქალი, გვარად ერემეევისა, სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებლად ყოფილა. განსვენებულს სრულიად ჯანსაღსა და ჯანმრთელს დაუწყვია სამსახური. თვეში ამ მასწავლებელს რვა მანეთი ეძლეოდა. ავად ფილტვების ანთებით გამხდარა და დიდხანს უპატრონოდ ყოფილა. განსვენებული სულ 17—18 წლის ქალი ყოფილა. იკვებებოდა მხოლოდ ჩაით და ცოტაოდენი პურით. მეზობელმა მემამულეებმა კარგად იცოდნენ ეს, ხშირად ეპატიჟებოდნენ კიდეც სადილად, მაგრამ ქალი სირცხვილით ვერ მიდიოდა. ისე გადაჩვეულა ერემეევისა ხორცსა და სხვა კარგ საჭმელს, რომ ორჯელ-სამჯელ, როდესაც სხვაგანა ყოფილა სადილად, უქეიფოთ გამხდარა კუჭის ტკივილისაგან.

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი. კაპის ახალშენიდგან ვერაფერი სანუგეშო ამბავი მოდის ინგლისში. საფიქრალია, რომ გენერალი ფრენჩი თავისის ჯარით ვერას ახერხებს ახალშენში შემოსულ ბურების წინააღმდეგ. ბურების რაზმის წინამძღოლი ამ ჟამად ახალშენის შუაგულში გამაგრდა და იქიდგან პატარ-პატარა რაზმებით, 25—160 კაცით, თავს ესხმის ინგლისელთა განცალკევებულს რაზმებს და ტყვედ მიჰყავს და იარაღ-სურსათს ართმევს. როგორც ამ ადგილისა და მთა-ტყე-ღრის კარგად მცოდნენი, ბურნი საოცარის სისწრაფით მოძრაობენ და ინგლისელებს არ ძალუძთ მათ კვალ და კვალ მისდიონ, მით უფრო, რომ ადგილობრივნი მცხოვრებნი, ჰოლანდიელნი, იფარავენ და ყოველმხრივ ხელს უწყობენ თვის ტომს ბურებს. თუმცა ინგლისელნი ყოველს ღონისძიებას ხმარობენ ამ გვარ „ღალატობის“ მოსასპობლად და სასტიკად სჯიან საბრალო ჰოლანდიელ ფერმერებს, მაგრამ უფროს ერთ შემთხვევაში უძნელდებათ დამნაშავის აღმოჩენა. თუ შესაძლო იყოს ბრიტანიის ტერიტორიაში ასეთის ზომების მიღება, როგორსაც ინგლისელნი ჰხმარობენ ტრანსვაალში, ე. ი. ფერმების გადაწვა და სხვანი, ინგლისელები, რასაკვირველია, აქამდის იზამდენ ამასა, რომ წაერთვათ ბურებისათვის ყოველი საშუალება ჰოლანდიელ ახალშენელთა დახმარებისა. მაგრამ ასეთის ზომების მიღება შეუძლებელია ახალშენში, რადგანაც ერთ დიდს უკმაყოფილებას გამოიწვევდა იმ აფრიკანდერთა შორის, რომელნიც აქამდის დაწყნარებულნი არიან. და მაშინ ახალშენში საშინელი საყოველთაო აჯანყება მოხდებოდა. გარდა ამისა, თავისუფალი ჯარის კაცნი თან და თან უფრო აცხადებენ უკმაყოფილებას იმისა და ერთის ადგილიდგან მეორეში უმიზნო გადასვლა-გადმოსვლის შესახებ. ეს უკმაყოფილება შესაძლებელია არეულობად გადაიქცეს, ხოლო ახალ ჯარის-კაცთა გაწვევა თან-და-თან უფრო საძნელო ხდება, მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცებს დიდს ჯილდოს ჰპირდებიან.

ჩინეთი. კანტონში უცხოელთა სამლოცველოების მახლობლად გაუკრავთ ჩინელებს ქაღალდები შემდეგის შინაარსისა:

სახლებზედ ახლად-გაწერილი გარდასახადი გამოიწვია საზღვრის გასტუმრების საჭიროებამ. ახლა, როდესაც ყველა საჭირო საგნები ასე გაძვირდა, უნდათ შემოიღონ გადასახადი. თუ-კი ფულის შოვნა შეიძლება, რათ არ უნდა გამოუცხადოთ ომი უცხოელებს? ჩინეთი ჯერ ხომ დამარცხებული არ არის! მხოლოდ მთავრობა დაბრმავებულია უსინდისო მანისტრებისაგან, თუ ჩვენ ახლა ბრძოლაზედ უარს ვიტყვით, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ სიცოცხლე გვწყურვებია და სიკვდილისა გვშინებია. რა სარგებლობა უნდა გამოვიტანოთ ჩვენ აგრე ბეჯითად შესწავლილ სამხედრო ხელოვნებიდგან, თუ არ ვიხმარეთ იგი უცხოელთა წინააღმდეგ! მაშ რადას ვაქნევთ ჩვენს რაზმებს? 1900 წლის განმავლობაში ბევრი ფული შეიკრიბა ლატარიებითა და სხვა თამაშობით და აგრეთვე იდ გადასახადებით. მაშ რისთვის იქმნა შემოღებული კიდევ ახალი გადასახადი? ისინი (?) კმაყოფილნი თავისს დღეში არ იქმნებიან! ამ გვარად, თუ ეს გადასახადი შეკრებილ იქმნა, ჩვენ დავანგრევთ ყველა სამლოცველოებს და განვდევნით ქრისტიანებს. თუ იმპერატორს გადახდა შეუძლიან, ჩვენ, ბოქსერებსაც გვაქვს მშვენიერი გეგმა უცხოელთა დასამარცხებლად. თუ ამ გვარს პოლიტიკას არ დაადგენ, აუცილებლად დიდი აჯანყება მოხდებაო“.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამას წინად საფრანგეთში მთავრობამ გამოსცადა ახალი წყლის ქვეშ მოსიარულე გემი. გამოცდას თვით პრეზიდენტი ლუბე დაესწრო. როგორც ამბობენ, ეს ახალი გემი სამაგალითო რამ არის. შეუმჩნევლად შეუძლიან თურმე მას უზარმაზარ სამხედრო გემების აფეთქება და დაღუპვა. ამ ამბავს ინგლისელები საშინლად დაუფიქრებია. იმ დღეს, რა დღესაც ლონდონში ერთ გაზეთს ამბავი მოსვლია ახალ გემის გამოცდის შესახებ, რედაქციის წინ აუარებელი ხალხი შეკრებილა. გაზეთების დამტარებელნი წამდაუწუმ გაჰკიოდნენ: „საფრანგეთის ახალი გემი! შესანიშნავი წყლის ქვეშ მოსიარულე გემი!“ ყველა მოუთმენლად კითხულობდა გაზეთს. აქა-იქ ამ გვარ ლაპარაკსაც მოჰკრავდით ყურს: „რამდენიმე ასეთი გემი ჩვენს უზარმაზარ და ლონიერ ფლოტს მიწასთან გაასწორებს. მოახერხებს თუ არა ჩვენი მთავრობა ამ ნაირ გემების გაკეთებას? გამოიჩენს თუ არა ჩვენც ისეთ ნიჭსა და მოხერხებას, როგორიც ფრანგებმა გამოიჩინესო“?

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ამერიკელები თვით ევროპაშივე დიდ მეტოქობას უწევენ ევროპიელებს. ფილადელფიაში (ამერიკაშია) არსებობს მდიდარი ფირმა ბატმანისა, რომელიც ფეხსაცმელითა ვაჭრობს. ამ ფირმას განუზრახავს ვენაში 16 მაღაზიის დაარსება და ადგილობრივ მაღაზიებზედ იაფად ფეხსაცმელის გაყიდვა. ამ ამბის გაგებისათანავე ვენელ ვაჭრებს ერთი აურ-ზაური აუტეხიათ. გაუმართავთ მიტინგები, მიურთმევიათ პეტიციები მთავრობისათვის და სხვა. ფეხსაცმელის ქარხნის პატრონთა კავშირის პრეზიდენტს უთქვამს ერთის გაზეთის თანამშრომლისათვის: „ამერიკელების აქ დამკვიდრება ჩვენი განადგურება იქმნება. ამერიკელებს ყოველთვის შეუძლიანთ 5 ფრანკით ჩვენზედ იაფად საქონლის გაყიდვა. ჩვენ ძალა უნდა ვიხმაროთ, მეტი არაფერი დაგვრჩენია“. იმავე დღეს ყველანი რევოლვერებით შეიარაღებულან. არეულობა აუცილებელი იყო. „ჩვენ ნებას არ მივცემთ ამერიკელებს, მაღაზიები გახსნან ჩვენს ქალაქში“,—ჰყვიროდნენ „მეჩექმენი“. მაგრამ საქმე შეტაკებამდე არ მისულა. ამერიკელები შეშინებულან და... გაქცეულან.

* * *

მკითხველებს ეხსომებათ პუატიეში მომხდარი დრამა. როგორც ვუწყით, დედას თავისი ღვიძლი ქალი მთელი 25 წლიწადი დამწყვდეული ჰყავდა. ერთი ასეთი დრამა ამ ერთი თვის წინადაც გამოაშკარავებულა. სოფელ სენტ-ეტროპში, ბისიერის ოჯახში ქურდობა მომხდარა. ეჭვი მოსამსახურეზედ მიუტანიათ. გაძევებულ მოსამსახურეს სასამართლოში ბისიერები დაუბეზღებია და უთქვამს, რომ ბისიერს თავისი უფროსი და 45 წლიწადი დამწყვდეული ჰყავსო. პოლიციას გაუჩხრეკია სახლი და მართლაც უნახავს ერთ პუჭყიან ოთახში დამწყვდეული ქალი. დამწყვდევის მიზეზი ჯერ ვერ გაუგიათ. ბისიერებს უთქვამთ, ქალი სულით-ავადმყოფი იყო და იმიტომ დავამწყვდიეთო.

* * *

ამ ბოლოს დროს შავი ჭირი გონ-კონგში თანდათან ძლიერდება და, როგორც ამბობენ, შეიძლება ისევე გავრცელდეს იგი, როგორც ამ რამდენისამე წლის წინად გავრცელდა. ჩინელები თავისებურად ებრძვიან შავს ჭირს: ჰმართავენ თითქმის ყოველ ღამე პროცესიებს ბოროტის სულის გასადევნად. ღამე ჩინელთა უბნიდგან ერთი ხმაურობა და ყვირილ-ხივილი მოისმის. აურებელი ხალხი ფარნებითა, დალაბანდებითა და პატარა ზარებით ხელში ქუჩა-ქუჩა დადის და ბოროტ სულებს ქალაქებიდგან ერეკება. სწორედ ამისთვისა ჰყვირიან, ღრიალებენ, აბრახუნებენ და უწკარუნებენ ზარებს. ამ პროცესიებში შეძლებული ჩინელნიც იღებენ მონაწილეობას. ამავე დროს ძარაჯები ქუჩებში დადიან და თავს უყრიან შავის ჭირისაგან დახოცილთა გვამებს.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

30 ივლისი.

ბაქო. 29 ივლისს, დილის 9 საათზედ, საბუნჩაში ბაქოს ნავთის მწარმოებელ საზოგადოების მე-4 ნაწილში ცეცხლი წაეკიდა „ვიშკას“; ნობელის ამხანაგობის სამი „ბურავლი“ დაიწვა, ბაქოს ნავთის მწარმოებელ საზოგადოებისა—ექვსი, ევროპის ნავთის მწარმოებელ ამხანაგობისა—ერთი, ეგიაზაროვისა—ორი, ტერ-აკოფოვისა—ორი, „ნავთის“ ამხანაგობისა—ხუთი, რუსეთის ნავთის მწარმოებელ საზოგადოებისა—თერთმეტი, ლესკევიჩისა სამი, ძმათა კრასილნიკოვთა—ერთი, აბიანცისა—შვიდი, ა. მელიქოვისა—ორი, შავი ზღვის საზოგადოებისა—ერთი, ძმათა მირზოევთა—ორი, კრასილნიკოვის მემკვიდრეთა—ერთი და შაგიდანოვისა—ხუთი, სულ 52 „ბურავო“. გარდა ამისა დაიწვა ნავთის მილები ადამოვისა და „რუსეთის ნავთის“ ბაქოს საზოგადოებისა, ოთხი აუზი და ყველა შენობა ადამოვისა, ლესკევიჩისა და რუსეთის ნავთის მწარმოებელ საზოგადოების აუზები და საცხოვრებელი სახლები. ადამიანთა უბედურება ჯერ არ არის აღმოჩენილი.

პრეტორია. თორმეტს ბურს, რომელნიც დანებდნენ და ინგლისელთაგან იარაღი მიიღეს თავისი საქონლის დასაცველად, ფოლკსდრიფტის ჩრდილოეთით მდებარე ფერმაში გარს შემოერტყა ბურების ჯარი და ტყვედ წაიყვანა მას შემდეგ, რაც ერთი მათგანი მოკლულ იქმნა. ხუთი ტყვედ წაყვანილი ბურთაგანი კრისტიან ბოტამ სასამართლოს მისცა, რომლის გარდაწყვეტილებით ოთხი, როგორც ამბობენ, მოკლული იქმნა.

პეკინი. ოქმზედ ხელის მოწერა გადადებულ იქმნა უმთავრესად ინგლისის მიზეზით. ინგლისი არ ეთანხმება დიდ სახელმწიფოთ, რომელთაც ძალიან მცირე სავაჭრო ინტერესი აქვთ, რომ ტარიფის გადამთვალიერებელ საერთაშორისო კომისიაში ისეთივე ხმა ჰქონდეთ, როგორც ინგლისსა აქვს.

პეკინი. ელჩითა უკანასკნელი სხდომა მშვიდობიანი იყო. ელჩებს იმედი აქვთ, რომ ოქმი ხელ-მოწერილი იქმნება მას შემდეგ, როცა დეპეშით აუწყებენ თავიანთ მთავრობათ. ტარიფი ძალაში შევა ხელის მოწერის დღიდგან ორის თვის შემდეგ.

31 ივლისი.

პეტერბურგი. გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება, რომლითაც ციმბირში სახაზინო მიწები კერძო კაცებს დაეთმო.

სახელმწიფო კონტროლერი გაემგზავრა ზოგიერთ საკანტროლო დაწესებულებათა მიმოსახილველად, ხოლო მისი თანამდებობის ასრულება მიენდო სახელმწიფო კანტროლერის ამხანაგს ფილოსოფოვს. სამხედრო მინისტრი პეტერბურგში დაბრუნდა და თავის თანამდებობათა აღსრულებას შეუდგა.

პენზა. აქ ისევ ცეცხლი მძვინვარებს: იწვის „სამკურნალო“ ქუჩა; უკვე გადაიწვა მთელი უბანი. ცეცხლი ოთხჯერ გაჩნდა, 27, 28 და 29 ივლისს დაიწვა სულ 120 სახლი, მათ შორის რკინის გზის ტეხნიკო სასწავლებელი.

მოსკოვი. 30 ივლისს ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ვაჭრის შვილის სმირნოვისა, რომელსაც თავისის ძმისწულის ცხრა წლის ქალის ძალ-დატანება და მოკვლა ბრალდება. ნაფიც მოსამართლეთ დამნაშავედ იცნეს სმირნოვი და 12 წლით მაღნებში გაგზავნა გადაუწყვიტეს.

ბელგრადი. კენჭის ყრის შემდეგ, საერო კრება შესდგა მთავრობის 110 მომხრისაგან, 4 დამოუკიდებელ რადიკალისა და 6 ლიბერალისაგან.

პარიზი. ტრუაში დააპატიმრეს ესპანელი, რომელზედაც ეჭვი მიიტანეს, რომ სენ-დიზიეს ეკლესიაში ყუმბარა ჩადვა, რომელმაც იფეთქა ახალგაზრდობის სწავლების დროს და დიდი ზიანი მისცა.

მაიდელბურგი. (კაპის ახალშენი). კრუიცინგერმა დასტოვა ასი ცხენი. პოლკოვნიკი კრაბბე ორს საათს იბრძოდა მასთან და შემდეგ უკან გამოედევნა.

ბუდაპეშტი. სოფელ ჩიროკა-გოსტუმეცეში ჩამოეშვა ჰაეროსტატი, რომლიდგანაც გადმოვიდნენ რამდენიმე რუსთა ოფიცერი. შედგენილ იქმნა ოქმი, რომელშიაც შეტანილია ოფიცერთა ჩვენება, და რომ სასწავლო აზრით ვფრინავთო. ვიცე-იშპანმა მისწერა რომ მოითხოვონ ინსტრუქციები სამხედრო მთავრობისაგან.

ბუდაპეშტი. რუსთა ოფიცერნი, ჰაეროსტატით მისულნი სოფელ ჩიროკა-გოსტუმეცეში, სამოქალაქო ტანისამოს-ჩაცმულ პოლიციელის თანხლებით კასრაში წავიდნენ.

კასრა. გუშინ სოფელ ჩიროკ-გოსტუმეცეში ჰაეროსტატით მოსული ორი რუსთა ოფიცერი დღეს ჩამოვიდა აქ და წარუდგა სამოქალაქო და სამხედრო მთავრობას, ხოლო საღამოს ვარშავაში წავიდა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. სემელოვისა, ალაბნინისა და გორბატოვის მაზრებში აგერ ორი კვირაა, რაც ტყეებს ცეცხლი ეკიდება.

პეტერბურგი. 30 ივლისს გარდაიცვალა გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ მიხეილის ძე ბარანოვი.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა, (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის ტფილისიდგან ბათუმში:

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.), ბათუმში ჩავა დილის 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს, 47 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ტფილისიდგან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის ღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი საღამოს 10 ს. 10 ს. 58 წ.), ყარსში ჩადის დღის 12 ს 3 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 2 საღამოს 9 ს. 42 წ. (10 ს. 43 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდის დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 12 ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.), ტფილისში მოდის დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 8 ღამის 1 ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

საგარეუბნო მატარებლები:

საგარეუბნო მატარებელი № 18 მცხეთიდგან ტფილისში საღამოს 5 ს. 22 წ. (6 ს. 20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1 წ. (6 ს. 59 წ.).

საგარეუბნო მატარებელი № 20 მიხაილოვიდგან ტფილისში საღამოს 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.).

განცხადებანი

ფოთის საბუხჰალტერო
კურსები
ქ. გიგინეიშვილისა.
თხოვნის შეტანა შეიძლება ყოველ დღე. პროგრამები გაეგზავნება მსურველს უფასოდ. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდგან.
(8—6.—7)

ფრიად საჭიროა იმათთვის, ვისაც
თმა სცვივა.

მე, M-me ევგენია ლავო, გამომგონელი თმის გასამაგრებელ და საზრდელ სითხის
„ფენომენის“
ტფილისში ჩამოვედი და დავრჩები ძალიან ცოტა ხანს, რასაც ვაუწყებ პატივცემულს საზოგადოებას, სითხე „ფენომენი“ იხმარება შაკიკისა, ნევრალგიისა, თავისტკივილისა და სხვა ავადმყოფობის მოსარჩენად. მაქვს მრავალი მადლობის წერილი იმათგან, ვინც ჩემ მიერ გამოგონილი სითხე იხმარა. მსურველთ ვიღებ დილის 10-დგან 12 საათამდე და 2 საათიდგან 6-მდე. რჩევა-დარიგების ფასი—50 კაპ.
პატივისცემით ევგენია ლავო.
ხსენებული სითხე „ფენომენი“ ნება-დართულია სამკურნალო მმართველობისაგან, ქ. ოდესა, № 1577.
(4—167—1)

ექიმი
ქ. ა. გძელიშვილი
გადავიდა
ელისაბედის ქუჩაზედ, № 15 (თავ. ვარანცოვის ძეგლის მახლობლად).
(5—6.—3)

სიღნაღი
კბილის ექიმი ა. გ. სოლოლაშვილი მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე (კვირა-უქმეს გარდა) 8-დგან 1 საათამდე და 5-დგან 7 საათამდე. ადრესი აფთიაქში.
(4—უ.—3)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.

ახალი საშუალება
თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება
„კვერცხის რძე“
სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, ჰსპობს მუწუკებს, არბილებს კანს ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია: დიდი ქილ—2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.
ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—62)

ВСЕМИРНАЯ ВЫСТАВКА ВЪ ПАРИЖѢ 1900 Г.
1-е. Единственный заводъ въ Россіи, удостоенный высшей награды — золотой медали спеціально за коньякъ;
2-е. Золотая медаль за ликеры и водки.

ЗАВОДСКАЯ
МАРКА

ГЛАВНАЯ КОНТОРА
Д. З. Сараджева
въ Тифлисѣ.
Къ предстоящей "Выставкѣ" въ Тифлисѣ приготовленъ новый сортъ столоваго вина по способу казенной монополіи и съ 20-го іюля выпущенъ въ продажу подъ этикетомъ:
„Сѣверное вино № 100“.
Вино это разлито въ монопольной (конусообразной) посудѣ; этикетъ на оборотѣ снабженъ надписью: „Изъ ректификованнаго предварительно фильтрованнаго хлѣбнаго спирта собственнаго Владикавказскаго Винокуреннаго завода“.
Съ того же числа выпущенъ въ монопольной же посудѣ особый сортъ вина подъ названіемъ:
„Народное очищенное вино“.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31-го Іюля 1901 г.
სტამბა ქქ. ივ. ხელაძისა ლორის-მელიქოვის ქ., № 28.
რედაქტორ-გამომცემელი, ილია ჭავჭავაძე